



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

---

2014 წლის სახელმწიფო ფინანსური მართვის  
რეფორმის მიმდინარე და  
განსახორციელებელი  
ღონისძიებები

წლიური ანგარიში



## I - ბიუჯეტირება

### 1. ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის სრულყოფა

#### 1.1 საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის

**პერიოდი:** იანვარი-მარტი

**პროგრესი:** 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადდა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტმა განიხილა ანგარიში და კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამტკიცა

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 1.2 2014-2017 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** დოკუმენტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში

**პერიოდი:** იანვარი

**პროგრესი:** მომზადდა ქვეყნის ძირითადის მონაცემების მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და 2014 წლის 31 იანვარს ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 1.3 საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ანგარიშები წარედგინება საქართველოს პარლამენტს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში

**პერიოდი:** აპრილი - ოქტომბერი



**პროგრესი:** კანონით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვის და 9 თვის მიმოხილვა. საქართველოს პარლამენტის მიერ განხილული იქნა შესაბამისი ანგარიშები

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### **1.4 2015-2018 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** დოკუმენტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში

**პერიოდი:** მარტი - დეკემბერი

**პროგრესი:** 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა კანონით დათქმულ ვადაში. პირველადი ვარიანტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, რომლითან განისაზღვრა ეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლების ძირითადი პარამეტრები საშუალოვადან პერიოდში და ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობა თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის. ზემოაღნიშნული პარამეტრების ფარგლებში მხარჯავმა დაწესებულებებმა მოამზადეს საბიუჯეტო განაცხადები 2015 წლისათვის. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### **1.5 საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** პროექტი მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში

**პერიოდი:** ივლისი - დეკემბერი

**პროგრესი:** 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მომზადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით. საქართველოს მთავრობამ პროექტის წარუდგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად კანონით განსაზღვრულ ვადებში. ბიუჯეტის დამტკიცებულ იქნა 2015 წლის დეკემბერში საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში

**შენიშვნა:** შესრულებულია



**1.6 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების პროექტის მომზადება, საბიუჯეტო პროცესში მიმდინარე რეფორმების მათში ასახვის მიზნით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო კოდექსში ცვლილება დამტკიცებულია

**პერიოდი:** აპრილი - ოქტომბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში 2015 წლის 1 იანვრიდან იგეგმება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების კომერციული ბანკებიდან სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში გადმოტანა და მათი ბიუჯეტების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის მოქცევა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (PFMS). ზემოაღნიშნული საჭიროებს ცვლილებებს საკანონმდებლო დონეზე, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში და ასევე რამდენიმე სხვა კანონში. შესაბამისი ცვლილებების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა და საკანონმდებლო ბაზა მომზადდა 2015 წლის 1 იანვრიდან რეფორმის ახალი ეტაპის გასაშვებად

**შენიშვნა:** შესრულებულია

**1.7 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში შეტანილია ცვლილებები მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო პროცესების რეგულირების გაუმჯობესების მიზნით

**პერიოდი:** აპრილი - დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა არსებული მეთოდოლოგიისა დახვეწის მიმართულებით, პროექტი მზადების ეტაპზეა, 2015 წლის იანვარში ამ მიმართულებით სამუშაოდ ჩამოდის GIZ ექსპერტი, რომელთან ერთადაც მომზადდება დეტალური სახელმძღვანელო

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.8 E-Budget-ში საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების წარმოების მოდულის სრულყოფილად ამუშავების მიზნით, სსიპ-ების წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** 2014 წლის კვარტალურ ანგარიშებს საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმატით

**პერიოდი:** აპრილი - დეკემბერი



**პროგრესი:** ელექტრონულ სისტემაში სრულად ამუშავდა შესაბამისი ფუნქციონალი და 2014 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშების წარმოდგენას სსიპები ახორციელებენ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, აღნიშნული მიზნით ტრენინგი ჩაუტარდა სისტემის 200-მდე მომხმარებელს

**შენიშვნა:** შესრულებულია

## II - საგადასახადო პოლიტიკა და საბაჟო საკითხები

### 1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

**1.1 საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების აღსრულების მიზნით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული კანონქვემდებარე დოკუმენტები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** გამოიცა 2014 წლის 21 თებერვლის №198 საქართველოს მთავრობის დადგენილება „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიის განსაზღვრის თაობაზე“, საგადასახადო დავალიანების ჩამოწრასთან დაკავშირებით მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ასევე, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი

**შენიშვნა:** შესრულებულია

**1.2 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმა და დირექტივების შედარებითი ანალიზი

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება და ევროკავშირის დირექტივების საგადასახადო კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი



ევროკავშირის კანონმდებლობასთან, კერძოდ ევროსაბჭოს 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივასთან დაახლოების, თამბაქოს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვის, გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრების მიზნით მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად 2015 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა აქციზის განაკვეთი ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) 0,15 ლარის ოდენობით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) 0,05 ლარის ოდენობით, ასევე აღნიშნული ცვლილებით 2015 წლის 1 ივლისიდან შემოდის აქციზის გადასახადის ე. წ. „შერეული სისტემა“ და თამბაქოს ნაწარმზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) დამატებით დაწესდება აქციზი საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ოდენობით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### **1.3 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალი საბაჟო კოდექსის პროექტი, თანმდევი ცვლილებების პროექტი საგადასახადო კოდექსში

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის შემუშავებაზე, საგადასახადო კოდექსში თანმდევი ცვლილებების პროექტის მომზადება. განიხილება იმპორტის გადასახადის საბაჟო კოდექსში გადმოტანისა და საბაჟო ვალდებულების საგადასახადო ვალდებულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ევროკავშირის საბაჟო კოდექსის იმ დებულებების თარგმნა და საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტში ასახვა, რომელზეც ასოცირების შეთანხმების შესაბამისად აღებულია ვალდებულება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### **1.4 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული ცვლილებები საგადასახადო კოდექსში არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების აღმოფხვრის მიზნით

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების რამოდენიმე კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფას, ქველმოქმედების ხელშეწყობასა და ტექნიკური უზუსტობების და ბუნდოვანების აღმოფხვრას. კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლება შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციებში



მოქცეულ საქონელზე აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, წარმოების, შეკეთების და სხვა მომსახურების სახეების გაწევა. დაზუსტდა საჯარო გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ნორმები. სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი ნორმის მოქმედება გადავადდა 2016 წლამდე. თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს, საგადასახადო ორგანოს მიეცა უფლება საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადაავადოს არაუმეტეს ერთი წლისა, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, ტურისტული სექტორის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გამარტივდა ტურისტული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები და სხვა. ჩამოწერას დაექვემდებარა 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა; 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით; ასევე საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა. სამემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში, აგრეთვე მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი. დაზუსტდა სახელმწიფოსათვის მომსახურების/საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების დროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების გადასახადებით დაბეგვრის რეგულიციები მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების კუთხით. ეროვნული ფილმის შესაქმნელად სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში გაწეული დაფინანსების დანიშნულებისამებრ სრულფასოვნად გამოყენების მიზნით, პირის მიერ მიღებული დაფინანსების ერთობლივ შემოსავლად აღიარება განხორციელდება ფილმის ექსპლუატაციაში შესვლის მომენტში, ნაცვლად მისი მიღების თარიღისა, ამასთან დაფინანსების მიმღებ პირს მიეცა ექსპლუატაციაში შესულ ფილმზე, როგორც არამატერიალურ აქტივზე 100 პროცენტისანი ამორტიზაციის დარიცხვის განხორციელების უფლება

**შენიშვნა:** შესრულებულია

**1.5 სხვადასხვა ქვეყნებთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების დადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტები

**პერიოდი:** იანვარი- დეკემბერი

**პროგრესი:** შეთანხმების გაფორმების ძირითადი მიზანია სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოება და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა. ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა შეთანხმება შვედეთთან. ხელი მოეწერა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების ოქმს. გაიმართა მოლაპარაკებები და შეთანხმებული იქნა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ტექსტი ბელარუსთან და



სამხრეთ კორეასთან. შეთანხმების დადების მიზნით გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი მოლდოვას რესპუბლიკასთან.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.6 რამოდენიმე ქვეყანასთან საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების (Tax Information Exchange Agreements (TIEA)) დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შეთანხმების გაფორმების ძირითად მიზანს წარმოადგენს გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას ბელარუსთან და ლიტვის რესპუბლიკასთან. შეთანხმების დადების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებების ბაჰამის და სეიშელის კუნძულებთან.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.7 რამოდენიმე ქვეყანასთან საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტები

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** აღნიშნული შეთანხმების გაფორმების ძირითადი მიზანია საბაჟო სფეროში კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია. გაიმართა მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა შეთანხმებებს ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან. ასევე, ხელი მოეწერა შეთანხმებას ყაზახეთთან საბაჟო კონტროლის ფორმების ურთიერთაღიარების შესახებ ოქმს

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.8 გამჭვირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში საქართველოს იურისდიქციის შეფასების პირველი ფაზის განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი





**შესრულების მაჩვენებელი:** შეფასების დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი- დეკემბერი

**პროგრესი:** აღნიშნული მიმოხილვის ძირითადი მიზანია საგადასახადო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. საქართველომ წარმატებით გაიარა გამჭვირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იურისდიქციის შეფასების პირველი ფაზა. დამტკიცდა შეფასების პირველი ფაზის ანგარიში და დაიწყო შეფასების მე-2 ფაზა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.9 საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დაგების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული საჩივრების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭო

**შესრულების მაჩვენებელი:** წარმოებაში არსებული მიმდინარე 150-250 საჩივარი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2014 წლის დასაწყისში დაგების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო დაახლოებით 1250 საჩივარი, 2014 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა ახალი 1940 საჩივარი, ხოლო ამავე პერიოდში წარმოება დასრულდა 2700 საჩივარზე. შედეგად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე საჩივრების რაოდენობამ შეადგინა 270 საჩივარი

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**2. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება**

**2.1 საერთო სასამართლოებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**2.2 მედიაციის საბჭოს და საგადასახადო საჩივრის განხილვის პროცესის ონლაინ რეჟიმში გამართვა (მათ შორის საქართველოს რეგიონებიდან)**



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მედიაციის საბჭოს და საგადასახადო საჩივრების განხილვის პროცესის ონლაინ რეჟიმში მოქცევის გეგმის შემუშავება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკურ საკითხებზე

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.3 საგადასახადო სფეროში ინფორმაციის ავტომატური გაცვლის პრაქტიკის დანერგვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება, ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მოხდა ინფორმაციის სპონტანურ რეჟიმში (რადგან არ არის გაფორმებული მემორანდუმი ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლაზე) გაცვლა ესტონეთთან, გერმანიასთან, ისრაელთან, ლიტვასთან. მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის მემორანდუმზე ლატვიასთან და არგენტინასთან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.4 გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** პირველი ფაზის გავლა, გლობალ ფორუმის მეორე ფაზის შეფასებაზე "ნაწილობრივ შესაბამისი" ან "შესაბამისი" ან "მეტწილად შესაბამისი" შეფასების მიღება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** პირველი ფაზა გავლილია, მიმდინარეობს მუშაობა მეორე ფაზაზე, კერძოდ, შეივსო მეორე ფაზის კითხვარი და გადაეგზავნა შემფასებელთა ჯგუფს. ასევე, შემოსავლების სამსახურის ბრძანებით დამტკიცდა ინფორმაციის გაცვლის სახელმძღვანელო

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.5 რისკების მართვის სისტემის ოპტიმიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური



**შესრულების მაჩვენებელი:** რისკების მართვის სისტემის ოპტიმიზაცია ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** რისკების მართვის ავტომატიზებული პროგრამის სრულყოფისთვის პროგრამას დაემატა ახალი განყოფილება, სადაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბაზრობის ტიპის საწარმოების აღრიცხვა, შემუშავდა შესყიდვების ელექტრონული პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სახის რისკ-კრიტერიუმების მეშვეობით ახდენს რისკის მატარებელი საწარმოს შერჩევას საკონტროლო შესყიდვის პროცედურის ჩასატარებლად. ასევე მიმდინარეობს 2013 წლის მოგების დეკლარაციაში საწარმოების მიერ ასახული მონაცემების დამუშავება და რისკ-ფაქტორების კრიტერიუმების განსაზღვრა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2.6 საგადასახადო შეთანხმებების გაფორმების კონცეფციის შემუშავება და პროცედურების, კრიტერიუმების და პრინციპების სრულყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** კონცეფციის შემუშავება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** საგადასახადო შეთანხმების არსებული ფორმებიდან დარჩა მხოლოდ ერთი ფორმა, საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით შეთანხმება. გაიწერა წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს შეთანხმების საბოლოო გადაწყვეტილებისთვის მთავრობაზე წარდგენის და დამტკიცების წესები

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2.7 პროგრამული უზრუნველყოფის ოპტიმიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შესაბამისი მოდულების დანერგვა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** რისკების მართვის ავტომატიზებულ პროგრამას დაემატა ახალი განყოფილება, სადაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბაზრობის ტიპის საწარმოების აღრიცხვა. ასევე შემუშავდა შესყიდვების ელექტრონული პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სახის რისკ-კრიტერიუმების მეშვეობით ახდენს რისკის მატარებელი საწარმოს შერჩევას საკონტროლო შესყიდვის პროცედურის ჩასატარებლად.

მომსახურების დეპარტამენტის ინიციატივით შემუშავდა შემდეგი პროგრამული მოდულები:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის პროგრამული მოდული;



ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე საქონლის განაწილების მონიტორინგის განხორციელების პროგრამული მოდული;

შემუშავდა კრიტერიუმები გადამხდელთა აქტიური და უმოქმედო სტატუსების დახვეწის მიზნით

შენიშვნა: მიმდინარეობს

## 2.8 ერთიანი სახაზინო კოდის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პროექტები, რომელთა ინიცირება მოხდება უახლოეს მომავალში

შენიშვნა: მიმდინარეობს

## 2.9 მომსახურების სივრცეების ოპტიმიზაცია და საზოგადოების ინფორმირების ინსტიტუტის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედო გეგმისა და დასახვეწი საკითხების შემუშავება; მომსახურების ხარისხის კვლევა; ახალი ვებ-გვერდის შექმნა [www.PRIVE.rs.ge](http://www.PRIVE.rs.ge); სტრატეგიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა პროცედურული სახელმძღვანელოები სერვის ცენტრებისთვის; ჩატარდა შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების კვლევა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდა სუსტი მხარეების აღმოფხვრის სტრატეგია

შენიშვნა: მიმდინარეობს

## 2.10 დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებასთან დაკავშირებული პროცედურების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი პროცედურების შემუშავება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი



**პროგრესი:** შემუშავდა პროცედურები, რომელთა მიხედვითაც 2014 წლის განმავლობაში ხდებოდა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.11 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შიდა რესურსის ბაზაზე ტრენინგების პოტენციალის შექმნა და ტრენინგების ორგანიზება; „სამოქმედო გეგმის“ შემუშავება; არსებული თანამდებობისთვის სამუშაოს აღწერილობების შექმნა; შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; საპრემიო სისტემის შემუშავება; მომსახურების სტანდარტების შემუშავება; კონტროლის განხორციელების გეგმის შემუშავება; ელექტრონული სწავლების პროგრამის დანერგვა; პერსონალის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის სრულყოფა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** შემოსავლების სამსახურის მხრიდან დასრულდა მუშაობა პერსონალის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის სრულყოფაზე. დამობილები პროექტის ფარგლებში უცხოელ ექსპერტებთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს ტრენინგების ჩატარების გეგმის, თანამდებობებისთვის სამუშაოს აღწერილობების და საპრემიო სისტემის შემუშავებაზე. ელექტრონული სწავლების პროგრამის დანერგვის მიზნით, შემუშავდა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის/სტაჟიორებისთვის საპილოტე ელექტრონული სწავლების სასწავლო კურსი

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.12 საგადასახადო კულტურის ამაღლების მიზნით ტრენინგების ორგანიზება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ტრენინგების ჩატარება როგორც გადამხდელთათვის, ისე ჟურნალისტებისთვის

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** EPI-ს დაფინანსებით მოეწყო სწავლება-სემინარები ჟურნალისტებისთვის, რომლის ფარგლებშიც ჟურნალისტებმა მოინახულეს თბილისის, ბათუმის და ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონები, ასევე საბაჟო გამშვები პუნქტები: „ყაზბეგი“ და „წითელი ხიდი“. დამატებით მომზადდა ვიდეო-რგოლი, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გადასახადების გადახდის მნიშვნელობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს



### 2.13 ეფექტური საბაჟო კონტროლის პროცედურების ოპტიმიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საბაჟო კონტროლის მეთოდების დახვეწა; საბაჟო ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლა;

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** შემოსავლების სამსახური აწარმოებს მოლაპარაკებებს თურქეთის მხარესთან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საბაჟო-გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე. ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის ონლაინ გაცვლა ავტომატურ რეჟიმში.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საბაჟო-გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის წინასწარ გაცვლის რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 2.14 კინოლოგიური სამსახურის შექმნა შემოსავლების სამსახურში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** კინოლოგიური სამსახურის შექმნა და მისი ამოქმედება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** უკვე შექმნილია კინოლოგიური სამსახური

**შენიშვნა:** შესრულებულია

### 2.15 საკანონმდებლო ბაზის განახლება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საბაჟო და საგადასახადო კოდექსების ერთმანეთისგან გამიჯვნა, აქედან გამომდინარე სხვა ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებების ოპტიმიზაცია

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი



**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა - მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2.16 საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ევროკავშირის კანონმდებლობიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობის გაანალიზება და შესაბამისი ცვლილებების პროექტების მომზადება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2.17 ალტერნატიული აუდიტის პროგრამის მასშტაბების შემცირება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირთა რიცხვის შემცირება 1063 აუდიტორიდან 120 აუდიტორამდე; საგადასახადო აუდიტის აუდიტორთა რაოდენობის 37 ერთეულით გაზრდა. 50 ასისტენტის მიღება ვაკანტურ თანამდებობებზე

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა შემცირდა 120 აუდიტორამდე. აუდიტის დეპარტამენტში დამატებით აყვანილ იქნა 60 ასისტენტი, რომლებსაც უტარდებათ ტრეინინგები. ასევე, მასმედიის საშუალებით ინფორმაცია მიეწოდა ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირებს იანვრიდან პროექტის მთლიანად დახურვასთან დაკავშირებით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2.18 აუდიტის დეპარტამენტში მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მართვის არსებული სისტემის გადაყვანა პროგრამულ მართვაზე

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს საუკეთესო პრაქტიკასთან გაცნობა



შენიშვნა: მიმდინარეობს

### III - მაკროეკონომიკური პროგნოზება

#### 1. მაკროეკონომიკური პროგნოზების და ანალიზის გაუმჯობესება

##### 1.1 ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების გაუმჯობესება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული ალტერნატიული მეთოდოლოგია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა მოგების გადასახადის პროგნოზის ალტერნატიული მეთოდი. გაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნა: მოგების გადასახადის გადახდის თავისებურება - მომავალი წლის მოგების გადასახადის დამოკიდებულება მიმდინარე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე, ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი და სტატისტიკის სამსახურის შემოსავლის ფორმირების ანგარიში (მშპ შემოსავლების მიხედვით) და გათვლების შედეგად მივიღეთ მომავალი წლის გადასახდელი მოგების გადასახადის პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდის გამოყენებით

შენიშვნა: მიმდინარეობს

##### 1.2 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შესასწავლი მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაზრდილი რაოდენობა, მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესწავლის და ანალიზის სისტემის შექმნა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესწავლის დაგეგმვის სისტემა და გაიზარდა მაკროეკონომიკური ინდიკატორების რაოდენობა. შედეგად, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მომზადდა ანალიტიკური ინფორმაცია ისეთი მაჩვენებლების შესახებ, როგორცაა ყოველთვიური ეკონომიკური ზრდა, სეზონურად შესწორებული ეკონომიკური ზრდა, მშპ-ს გეფი, შეფასებული იქნა ფისკალური მულტიპლიკატორები, საგადასახადო ხარჯების მოცულობა და სხვა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

##### 1.3 ალტერნატიული მაკროეკონომიკური სცენარების მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი





**შესრულების მაჩვენებელი:** მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევის სისტემა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური. საბაზისო სცენარის საფუძველზე ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა. პესიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების, ხოლო ოპტიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევისათვის.

მიღებული შედეგები გამოყენებულია მაკროეკონომიკური რისკების გამჟღავნებისა და ეფექტიანი მართვის ანალიზისათვის და დაერთო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანხმებ დოკუმენტებში

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.4 ყოველდღიური შემოსავლების ანალიზის სისტემის გაუმჯობესება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მონაცემების მიღებისა და გადამუშავების პროცესების ავტომატიზაცია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და მონაცემების ყოველდღიური ავტომატური დამატების/განახლების სისტემა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.5 ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტის იდენტიფიცირება და ანალიზი**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა და დაინერგა სტრუქტურული დეფიციტის გაანგარიშების მეთოდოლოგია. გაანგარიშების დროს გამოყენებულ იქნა მოდელი, რომელიც მოითხოვს ცალკე შესწავლას ისეთი მაჩვენებლებისა, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი, საბიუჯეტო ხარჯების და შემოსავლების ელასტიურობები მშპ-ს გეფის მიმართ. გაანგარიშება დაეფუძნა აგრეგაციის მეთოდს. ჩატარდა ასევე სენსიტიურობის ანალიზი

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.6 ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული ანალიზი და გავრცელება**



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** დეპარტამენტში ყოველთვიურად მზადდებოდა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ სათანადო ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა (ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, საგარეო ვაჭრობა, მონეტარული მაჩვენებლები, საგადასახადო ბალანსი და სხვა); აღნიშნულ მაჩვენებლების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაემატა ისეთი მაჩვენებლების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება როგორცაა ყოველთვიური ეკონომიკური ზრდა, სეზონურად შესწორებული ეკონომიკური ზრდა, მშპ-ს გეფი, შეფასებული იქნა ფისკალური მულტიპლიკატორები, საგადასახადო ხარჯების მოცულობა და სხვა.

2014 წელს მომზადებულ იქნა ანალიტიკური თემები, რომლებიც განხილული იქნა ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 2. ფისკალური რისკების გამოვლენა და შეფასება

### 2.1 ფისკალური რისკების გამოვლენის და შეფასების სისტემის დანერგვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** რისკების შეფასების და გამჟღავნების შემუშავებული მეთოდოლოგია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2014 წლის მარტიდან დაიწყო მუშაობა ფისკალური რისკების გამჟღავნებისა და მართვის საკითხებზე. შეფასდა და მომზადდა მაკროეკონომიკური და ვალთან დაკავშირებული რისკების მოდელი. შეიქმნა დემოგრაფიული და ფინანსური მოდელები, მოხდა ამ მოდელების ურთიერთდაკავშირება.

შემუშავდა კითხვარი, ფისკალურ რისკების შესწავლის მიზნით.

მაკროეკონომიკური რისკების გამჟღავნებისა და მართვის შესახებ ანგარიში დაერთო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანხმდებ დოკუმენტებში.

შეიქმნა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების რეესტრი.

დაიწყო მუშაობა სხვადასხვა სტრუქტურებთან მონაცემების შეგროვების სისტემის დანერგვის მიზნით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს



## IV - სახელმწიფო ვალის მართვა და დონორებთან თანამშრომლობა

### 1. სახელმწიფო ვალის მართვის გაუმჯობესება

#### 1.1 სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტის პროექტი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის პროექტის პირველადი ვერსია შემუშავებულია. მომდევნო წელს იგეგმება მისი შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა. არსებული ვერსია მოიცავს შემდეგ საკითხებს: ძირითად სტრატეგიულ მიზნებს 2015-2017 წლებში და შესაბამის ქმედებებს, რომლის მიხედვითაც მოხდება ახალი სესხების პირობების შერჩევა და პორთფელთან ასოცირებული რისკების მართვა

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 1.2 სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით სხვადასხვა პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული სახელმძღვანელოები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ვალის ფორმირების და მომსახურების პროცესში საჭირო პროცედურების და ამ პროცესებში მონაწილე სუბიექტების მოვალეობების ჩამოყალიბების მიზნით შემუშავებულ იქნა: „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმირების პროცედურების სახელმძღვანელო“, „სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მონაცემების აღრიცხვის, შემოწმების და მომსახურების პროცედურების სახელმძღვანელო“ და „სახელმწიფო საშინაო ვალის მონაცემების აღრიცხვის, შემოწმების და მომსახურების პროცედურების სახელმძღვანელო“

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 1.3 სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით სახელმწიფო ვალის ბიულეტენის შემუშავება და ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბიულეტენი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი



**პროგრესი:** სახელმწიფო ვალის მონაცემების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულ იქნა სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი, რომლის პერიოდულობა ნახევარწლიურია და თითოეული მათგანი მოიცავს ინფორმაციას სამწლიან პერიოდში სახელმწიფო ვალის მდგომარეობის და ნაკადების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია სტატისტიკური ბიულეტენები 2013 წლის ბოლოს და 2014 წლის I ნახევრის მდგომარეობით

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2. სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება

### 2.1 სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდის გამოყენებით მომზადდა სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი, რომელიც თან დაერთო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს. ანალიზმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სახელმწიფო ვალის მდგრადობა უზრუნველყოფილია და შენარჩუნებული იქნება საშუალოვადიან პერიოდში

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 3. სახელმწიფო ვალის მართვის სფეროში აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების გამოცდილების და არსებული ტენდენციების გაცნობა და ქვეყნის ცნობადობის ამაღლება

### 3.1 აზიის განვითარების ბანკთან ერთობლივად „სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონალური ფორუმის“ ჩატარება საქართველოში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ჩატარებული ფორუმი

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წლის 23 აპრილს საქართველოში პირველად ჩატარდა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ერთობლივი „სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონული ფორუმი“. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ADB-ს წევრი ქვეყნების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ამ სფეროში გამოცდილების მქონე კომპანიების წარმომადგენლებმა (დაახლოებით 120 მონაწილე)

**შენიშვნა:** შესრულებულია



#### 4. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობა

##### 4.1 საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** სარეიტინგო კომპანიების მისია და მათ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან: Standard & Poor's, Fitch და Moody's. 2014 წლის განმავლობაში საქართველოში ვიზიტით სამი სარეიტინგო კომპანიის Standard & Poor's, Moody's და Fitch-ის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა Moody's-მა და Fitch-მა 2014 წელს პირველად შეცვალეს საქართველოს პერსპექტივა (Outlook) „სტაბილური“ „პოზიტიურით“ და რეიტინგი BB- და "Ba3" (რაც „BB-“ შესაბამისია) უცვლელი დატოვეს, ხოლო Standard & Poor's-ის შეფასებით საქართველოს „BB- სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 5. დონორებთან თანამშრომლობის კოორდინაცია

##### 5.1 დონორებთან საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ჩატარებული შეხვედრები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წლის 6 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა გზების სექტორში მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

##### 5.2 სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამებისა და პროექტების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გამოქვეყნებული ინფორმაცია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ყოველთვიურად განახლებადი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დონორების მხარდაჭერით დაფინანსებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (<http://www.mof.ge/5321>).



შენიშვნა: შესრულებულია

## 6. ევროინტეგრაცია

6.1 ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) დოკუმენტებით გათვალისწინებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის საკითხების შესრულების კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების კოორდინაცია

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა 2014 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების, ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ საკითხებს. მომზადდა 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2015 წლის სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: შესრულებულია

## V - აღრიცხვა და ანგარიშგება

### 1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების (IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6) დანერგვა

1.1 IPSAS მოთხოვნების გაანალიზება და არსებულ პრაქტიკასთან მიმართებაში ძირითადი შეუსაბამობების გამოვლენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტებთან შეუსაბამობების შესახებ მომზადებული ანგარიში

პერიოდი: იანვარი-ივნისი

პროგრესი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6-ის შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის პროცესში გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობები და გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ მომზადდა შესაბამისი ანგარიში

შენიშვნა: შესრულებულია



**1.2 ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცვლილებების/განახლებული ვერსიების მომზადება, შეთანხმება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთან და დამტკიცება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ნორმატიული აქტები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** არსებულ პრაქტიკასთან მიმართებით IPSAS მოთხოვნების გაანალიზების შედეგად, შემუშავდა აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამის ნორმატიული აქტებში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდგომ, დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებების სახით

**შენიშვნა:** შესრულებულია

**1.3 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების დატრენინგება აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო ორგანიზაციების დატრენინგებული ბუღალტრები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლებიდან შერჩეული ტრენერების მიერ, განხორციელდა საჯარო სექტორის ცალკეული უწყებების ბუღალტრების დატრენინგება IPSAS შესავალ კურსში, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, ასევე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას

**შენიშვნა:** ნაწილობრივ დასრულებულია. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების დატრენინგება IPSAS-ის დანერგვის შესაბამისად განხორციელდება შემდგომ წლებშიც

**2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მოქცევა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სისტემაში**

**2.1 სახაზინო სამსახურის მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების დეტალური მოდელის შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბიუჯეტების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების შესახებ შემუშავებული დეტალური მოდელი

**პერიოდი:** იანვარი-მარტი



**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ შემუშავდა საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების დეტალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ხაზინის ელექტრონულ სისტემაში მათ ჩართვას

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2.2 საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და ნორმატიული აქტების პროექტები

**პერიოდი:** იანვარი-მაისი

**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახაზინო მომსახურების სისტემაში მოქცევის მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პაკეტი, რომლებიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2.3 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მართვის მოდულის ანალიტიკა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტი და შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა

**პერიოდი:** იანვარი-აგვისტო

**პროგრესი:** საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი ძალისხმევით, განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მართვის მოდულის ანალიტიკა, შემუშავდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2.4 ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების დატრენინგება ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური





**შესრულების მაჩვენებელი:** პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის დატრენინგებული წარმომადგენლები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების დატრენინგება ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით

**შენიშვნა:** ნაწილობრივ დასრულებულია. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების დატრენინგება გაგრძელდება 2015 წელსაც

### 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახაზინო მომსახურებაზე გადმოყვანა

#### 3.1 სახაზინო სამსახურის მიერ სსიპ-ების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების დეტალური მოდელის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სსიპ-ების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების შესახებ შემუშავებული დეტალური მოდელი

**პერიოდი:** იანვარი-მარტი

**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ შემუშავდა საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული სსიპ-ების მომსახურების პრინციპების და მექანიზმების შესახებ დეტალური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სახაზინო მომსახურების სისტემაზე მათ გადმოყვანას

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 3.2 საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და ნორმატიული აქტების პროექტები

**პერიოდი:** იანვარი-მაისი

**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ სსიპ-ების სახაზინო მომსახურების სისტემაზე გადმოყვანასთან დაკავშირებით, მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან

**შენიშვნა:** შესრულებულია



**3.3 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში სსიპ-ების ბიუჯეტების მართვის მოდულის ანალიტიკა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტი და შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა

**პერიოდი:** იანვარი-აგვისტო

**პროგრესი:** საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი ძალისხმევით, პროექტის პირველ ეტაპზე განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში სსიპ-ების ბიუჯეტების მართვის მოდულის ანალიტიკა, შემუშავდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**3.4 სსიპ-ების წარმომადგენლების დატრენინგება ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით, სსიპ-ების დატრენინგებულ წარმომადგენლები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა სსიპ-ების წარმომადგენლების დატრენინგება ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით

**შენიშვნა:** ნაწილობრივ დასრულებულია. სსიპ-ების წარმომადგენლების დატრენინგება გაგრძელდება 2015 წელსაც

## VI - შიდა აუდიტი, ჰარმონიზაციის ცენტრი

**1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სტატეგიული განვითარების ხელშეწყობა**

**1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტატეგიული ხედვის დოკუმენტის შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტატეგიული ხედვის დოკუმენტი

**პერიოდი:** მაისი-დეკემბერი



**პროგრესი:** სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის შემუშავებას წინ უძღვის ხარვეზების და საჭიროებათა ანალიზი, რომელიც 2014 წლის ივნისის თვიდან OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით ხორციელდება. OECD/SIGMA-ს საერთაშორისო ექსპერტები იუპ ვროლიკი და ნოელ ჰეპვორტი რამოდენიმე ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში და შეაფასეს საჯარო სექტორში არსებულ მდგომარეობა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: შიდა აუდიტი, ფინანსური მართვა და კონტროლი, ინსპექტირება, ჰარმონიზაციის ცენტრი. კვლევის ფარგლებში OECD/SIGMA-ს ბოლო ვიზიტი განხორციელდა სექტემბერში. ექსპერტების მიერ მომზადებული პირველადი ინფორმაციისა და მეთოდოლოგიური მასალების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დაიწყო საჯარო სექტორში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის უფრო ღრმა შესწავლა/ანალიზი და ფინანსური მართვისა და კონტროლის წესებისა და პროცედურების ამსახველი ნორმატიული შინაარსის დოკუმენტაციის შემუშავება. ამ პროცესმა, რომლის განმავლობაშიც, ზემოაღნიშნულმა ექსპერტებმა კიდევ ერთხელ გადაამოწმეს მათი ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტებისა და გარემოებების სისწორე, შეაფერხა მათი მხრიდან მიერ ხარვეზების ანალიზის დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისად სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდება ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ 2015 წელს OECD/SIGMA-სა და ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების დახმარებით, საქართველოსა და ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.2 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის დახვეწა და ცვლილებების ინიცირება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილებების კანონპროექტი

**პერიოდი:** აპრილი-დეკემბერი

**პროგრესი:** ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ 2014 წელს მომზადებულ იქნა კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, სადაც რამოდენიმე ძირეული ცვლილებაა შეტანილი: შიდა აუდიტის ინსპექტირების ფუნქციისგან გამიჯვრით უმჯობესდება შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის საკითხი, ასევე ზუსტდება ტერმინები და დეფინიციები, ძლიერდება ჰარმონიზაციის ცენტრი, და ის ყალიბდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულად, თავიდან აცილებულია ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვა და სხვა. კანონპროექტი განსახილველად და საკუთარი მოსაზრების წარმოსადგენად დაეგზავნა სამინისტროებს, აჭარისა და აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და სამინისტროებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს; აღნიშნული საკითხი შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა საბჭომ წლის განმავლობაში ორჯერ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება 2015 წელს გაეგზავნოს მთავრობას, რომელიც მოწონების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად

**შენიშვნა:** შესრულებულია



### 1.3 ჰარმონიზაციის ცენტრის წლიური ანგარიშის მომზადება და ბენეფიციარებისთვის გაცნობა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებული წლიური ანგარიში და განხორციელებული სამუშაო შეხვედრა

**პერიოდი:** თებერვალი-ივლისი

**პროგრესი:** ჰარმონიზაციის ცენტრის 2013 წლის ანგარიში მომზადდა კანონში მითითებული ვადების შესაბამისად. აღნიშნული ანგარიშის წარდგენა განხორციელდა შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს რიგით მე-11 სხდომაზე 10 ივლისს, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს თავმჯდომარე - ფინანსთა მინისტრი ბატონი ნოდარ ხადური, თანათავმჯდომარე - ბატონი გიორგი თაბუაშვილი, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსები 16 სამინისტროდან და საერთაშორისო ექსპერტი. ჰარმონიზაციის ცენტრის წლიური ანგარიში საჯაროა და იგი დამტკიცებისთანავე გამოქვეყნდა საიტზე [www.ia.ge](http://www.ia.ge)

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2. შიდა აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა

### 2.1 შიდა აუდიტორთათვის ტრენინგების ორგანიზება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი, ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები

**პერიოდი:** მარტი-დეკემბერი

**პროგრესი:** ჰარმონიზაციის ცენტრი წელსაც აგრძელებს შიდა აუდიტორთათვის ტრენინგების ორგანიზებას შემუშავებული ტრენინგ კონცეფციის მიხედვით. მისი მხარდამჭერი არის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ. ტრენინგების ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში.

2014 წელს დღემდე განხორციელებული ტრენინგები:

- საბაზისო ტრენინგი - შიდა აუდიტის საფუძვლები 25-28 მარტი, 25 შიდა აუდიტორისათვის;
- საბაზისო ტრენინგი - შიდა აუდიტის საფუძვლები 5-8 მაისი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 25 შიდა აუდიტორი აჭარის ა/რ-ის სამინისტროებიდან და მუნიციპალიტეტებიდან;
- საბაზისო ტრენინგი - შიდა აუდიტის საფუძვლები 27-30 მაისი, 25 შიდა აუდიტორისათვის;
- ერთ თვიანი გაძლიერებული ტრენინგი შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის GIPA-ში თემაზე: მენეჯმენტი შიდა აუდიტორთათვის;
- გაძლიერებული ტრენინგი - სისტემური აუდიტი 22-24 სექტემბერი. 25 შიდა აუდიტორისათვის;
- გაძლიერებული ტრენინგი - კორუფციის და თაღლითობის პრევენცია, 25 შიდა აუდიტორისათვის.

გარდა ტრენინგებისა 2014 წელს განხორციელდა სასწავლო ვიზიტი სლოვენისა და ხორვატიაში 9 სამინისტროს შიდა აუდიტის უფროსისა და ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით. ასევე სამუშაო



შეხვედრები შიდა აუდიტის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით და ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მიერ თემაზე: პროგრამული ბიუჯეტირება, ფინანსური მართვა და კონტროლი

**შენიშვნა:** შესრულებულია

**2.2 შიდა აუდიტის პილოტური პროექტების ორგანიზება სხვადასხვა სამინისტროებსა, თუ დაწესებულებებში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** შიდა აუდიტორული ანგარიში

**პერიოდი:** მარტი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2014 წელს დასრულდა 2013 წელს დაწყებული სისტემური პილოტური აუდიტორული შემოწმება ფინანსთა სამინისტროში. ამავე წლის მარტის თვეში, GIZ-ის დახმარებით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში დაიწყო პილოტური ფინანსური აუდიტორული შემოწმება. საერთაშორისო ექსპერტისა და ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლის მონაწილეობით ჩატარებული შემოწმება 3 თვე გაგრძელდა

**შენიშვნა:** შესრულებულია

**3. დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა**

**3.1 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესები და პროცედურების შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი, საქართველოს მთავრობა

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის წესები და პროცედურები

**პერიოდი:** სექტემბერი-დეკემბერი

**პროგრესი:** ჰარმონიზაციის ცენტრი OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით მუშაობს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციაზე. აუცილებელ წინაპირობას აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის წარმოადგენს ჰარმონიზაციის ცენტრის ადეკვატური ადამიანური რესურსები და დონორების მხარდაჭერა. 2014 წლის მეოთხე კვარტალში OECD/SIGMA-ს მიერ განხორციელდა რამოდენიმე ვიზიტი, ჩამოყალიბდა კონცეფცია და შემუშავდა ადაპტირებული სამუშაო ვარიანტი, რომელიც განხილულ იქნა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო და საბუჯეტო სამსახურებთან, რომლებიც მნიშვნელოვან მთავარეზერვს წარმოადგენენ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს მაღალ მენეჯმენტთან შეთანხმებას. საბოლოო სახით მისი ჩამოყალიბების შემდეგ 2015 წელს იგეგმება მისი სტრატეგიულ დოკუმენტთან ერთად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა დასამტკიცებლად

**შენიშვნა:** მიმდინარეობს



## VII - ინფორმაციული ტექნოლოგიები

### 1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარება

#### 1.1.eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსური ოპერაციების განხორციელება ბიუჯეტის ელექტრონული სისტემის საშუალებით და მათი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირების შესაძლებლობა; სსიპ-ების ფინანსური ოპერაციების განხორციელება ბიუჯეტის ელექტრონული სისტემის საშუალებით; ბიუჯეტის ელექტრონული სისტემის კომპონენტების ინტეგრირება ვალის მართვის (eDMS) და ხაზინის (eTreasury) სისტემებთან

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვა:

- გაგზავნილი ფაილების ნაერთზე ავტომატური მიზმა;
- ხაზინის ან ბიუჯეტის სისტემებიდან იმპორტირებული მონაცემების რედაქტირების ფუნქციონალი შემოსავლებისა და გადასახდელების დანართების ფაქტებისა და გეგმების ნაწილებში;
- იურიდიული პირების მიერ მექანიზმი;
- ნაერთი ანგარიშგების დოკუმენტი - იურიდიული პირების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლების, გადასახდელების, ბალანსების და მომუშავეთა რაოდენობრივი დანართები.

**მიზნობრივი გრანტი:**

- მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების ანგარიშგების დოკუმენტის ბიუჯეტის მხარჯავებისა და ადმინისტრირების პორტალებში მომზადება;
- მიზნობრივი გრანტის ველში მიმდინარე წლის და წინა წლების ფაქტიური მონაცემების დაჯამება.
- შესრულდა ოთხნიშნა სავალუტო კოდის ამოღების და ვალიდაციის გაუქმების ამოცანა ბიუჯეტის სისტემის შემდეგი წერტილებიდან
  - ორგანიზაციული სტრუქტურის აწყობა
  - სტრუქტურული ცვლილების ცნობა
  - ფაილის გაგზავნა
  - ნაერთი ბიუჯეტის აკინძვა/დამტკიცება.

ყოველწლიურ ბიუჯეტის კანონში ცვლილების საფუძველზე, შემუშავდა მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების ცნობების შექმნის მექანიზმი.

**სისტემის რეფაქტორინგის ფარგლებში განხორციელდა:**

1. ბაზების სტრუქტურის ანალიზი და ოპტიმიზაცია
  - 1.1. ცხრილებების სახელების კონვენცია (convention)
  - 1.2. ახალი სტრუქტურის შემუშავება
  - 1.3. ბაზის ნორმალიზაცია (normalization)
  - 1.4. ბაზის ინდექსაცია (index)
  - 1.5. ცხრილების ფართიშენიგი (partitioning)
2. პროექტში არქიტექტურული ცვლილებები
  - 2.1. ბაზასთან ურთიერთობის მეთოდის გაუმჯობესება (Ado.NET-იდან Entity Framework-ზე გადასვლა)



- 2.2. სერვისის DLL-ის დეცენტრალიზაციის სამუშაოები
- 2.3. Silverlight\_სა და Telerik-ის ახალ ვერსიებზე გადასვლა
- 2.4. MVVM მოდელის განახლება/გაუმჯობესება
- 2.5. უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაოები
  - 2.5.1. სერვისებთან ავტორიზირებული და სანქცირებული ფორმით წვდომა (მაღალი პრივილეგიების მიღების შესაძლებლობები)
  - 2.5.2. SQL Injection-ის საფრთხისგან სისტემის დაცვა
  - 2.5.3. სხვა სისტემებთან (GLE, EDMS, Etreasury) ინფორმაციის ცვლის უსაფრთხოების ამაღლება.
- 2.6. რესურსების და ლოკალიზაციის მხარდაჭერა (სხვადასხვა ენებთან თავსებადობა)
3. ახალი ფუნქციონალი
  - 3.1. ადმინისტრირების პორტალი
    - 3.1.1. დონორების და თანამდებობების კლასიფიკატორები
    - 3.1.2. GFS-2001-ის კონფიგურაციის დინამიზირება
    - 3.1.3. სამუშაო პერიოდის ფარგლებში ბიუჯეტის დაფინანსების წყაროთა დინამიზირება
    - 3.1.4. ბიუჯეტის დამტკიცებისას ფონდების შესაბამის ორგანიზაციებთან დაკავშირება
    - 3.1.5. სამუშაო პერიოდის ფარგლებში ბიუჯეტის წლების დინამიზირება
    - 3.1.6. სამუშაო პერიოდების კონსტრუქტორში „ბევრი-ბევრზე“ ტიპის კავშირების დამყარება
    - 3.1.7. ნაერთის ფარგლებში მონაცემთა ცენტრალიზირებული იმპორტი და განახლება
  - 3.2. მხარჯავების პორტალი
    - 3.2.1. კანონში ცვლილების ცნობათა ჯაჭვების ფუნქციონალის გადმოტანა/ადაპტაცია მხარჯავების პორტალში
    - 3.2.2. კონსტრუქტორში ორგანიზაციულ კლასიფიკატორთა შორის „ბევრი-ბევრზე“ ტიპის კავშირების დამყარების ფუნქციონალი
    - 3.3. განხორციელდა დონორების სინქრონიზაციის ამოცანა, რომლის შედეგადაც PFMS-ის ფარგლებში სამივე სისტემა გადავიდა საერთო დონორების კლასიფიკაციაზე.
4. ცვლილებები არსებულ ფუნქციონალსა და ნავიგაციაში
  - 4.1. მენეჯმენტის პორტალი
    - 4.1.1. მენეჯმენტის პორტალის პირველი გვერდიდან ბიუჯეტის დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში მონაწილე სხვა პორტალებში გადასვლის ნავიგაცია
    - 4.1. 2. კლასიფიკატორების შექმნისა და მართვის ფუნქციონალის შეტანა პერიოდის შიგნით
    - 4.1. 3. კლასიფიკატორის ვერსიების მართვის მოქმედი ფუნქციონალის სისტემიდან ამოღება
    - 4.1. 4. ფაილების დამაჯგუფებელი საკონტროლო თარიღების სისტემიდან ამოღება
  4. 2. მხარჯავების პორტალი
    4. 2.1. ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოტანა ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ფორმაზე
    4. 2.2. შრომის ანაზღაურების კონვერტაციისა და ანალიტიკური ფორმის გატანა მოდულურ ფანჯარაში და რედიზაინი
    4. 2.3. ფაილთან მუშაობის ისტორიის დახვეწა
    4. 2.4. ზოგადი ნავიგაციის (სამუშაო პერიოდებსა და სიღრმეებს შორის მოძრაობა) დახვეწა
  4. 3. ფისკალური პროგნოზირების პორტალი
    4. 3.1. ზოგადი ნავიგაციის (სამუშაო პერიოდებსა და სიღრმეებს შორის მოძრაობა) დახვეწა
    4. 3.2. ფაილის კონფიგურაციის ფუნქციონალის ნაწილობრივი გადატანა ადმინისტრირების პორტალში
5. ანგარიშგებები
  - 5.1. ანგარიშგების ინტერაქტიულობის უზრუნველყოფა (ბაზისური პარამეტრების გადაცემის შესაძლებლობა)
  - 5.2. ანასახის ანგარიშგების დოკუმენტის მომზადების პროცესის ოპტიმიზაცია
  - 5.3. ბიუჯეტის თავების შესაბამის ანგარიშგებებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა
  - 5.4. სისტემას დაემატა დინამიური ანგარიშგებების მოდული, რომელიც ანალიტიკური და სტანდარტული აღრიცხვის ანგარიშგებათა დინამიურად აგებისა და სხვადასხვა პორტალში განთავსების საშუალებას იძლევა. ამ მოდულის საშუალებით, სისტემის ადმინისტრატორს, საჭიროებებიდან გამომდინარე, შეუძლია შექმნას (ააგოს)



სასურველი ფორმისა და განზომილებების მქონე ანგარიშგების დოკუმენტი და განათავსოს იგი სისტემის სხვადასხვა პორტალში შემდგომი მოხმარებისათვის

6. განხორციელდა ბიუჯეტის რეფაქტორიზირებული ვერსიის ტესტირება სისტემის ანალიტიკური კუთხით და, ასევე, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის კურატორების მხრიდან.

7. ელექტრონული ბიუჯეტის სისტემის მოქმედ ვერსიაში განხორციელდა ცვლილებები ბიუჯეტის წარდგენისთვის მომზადების კუთხით.

**ასევე, განხორციელდა რეფორმა - „ავტონომიური რესპუბლიკების, თვითმმართველი ერთეულებისა და სსიპ-ების ინტეგრირება სისტემაში“**

განხორციელდა ბიუჯეტირების სისტემაში თვითმმართველი ერთეულების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სსიპ-ების ჩართვის რეფორმის პირველი და მეორე იტერაცია, რომელიც მოიცავს წლიური დაგეგმარების ფაზას, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ნაწილში, ასევე კვარტალური ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესაბამისი ნაერთი ბიუჯეტის მართვის ფუნქციონალს.

რეფორმის პირველი და მეორე იტერაციის ფარგლებში სისტემას შეემატა 79 ბიუჯეტის (თვითმმართველი ერთეულის) მიხედვით ბიუჯეტირების პროცესის დამოუკიდებელი ადმინისტრირების შესაძლებლობა, რაც შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების დაგეგმარებასთან ერთად, მოიცავს ნაერთი ბიუჯეტების ადმინისტრირებისა და ბიუჯეტის ფარგლებში ანგარიშგების დოკუმენტებთან წვდომის შესაძლებლობას. რეფორმის პირველ და მეორე იტერაციაში ზემოთჩამოთვლილთან ერთად ცვლილება შევიდა რამოდენიმე ბაზისურ ფუნქციონალში, კერძოდ, სისტემის ფორმათა დაკონფიგურირება გახდა უფრო დინამიური, რადგან ცვლილებების შედეგად კონფიგურირებადია არ მხოლოდ სვეტები, არამედ სტრიქონებიც და ცხრილის ველების შევსების წესებიც. შედეგად სისტემაში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ბიუჯეტებისთვის განაცხადის ფორმის განსხვავებული ვერსიების დაკონფიგურირება.

შეიცვალა სანავიგაციო და დაშვებების ნაწილი, კერძოდ, გაერთიანდა სისტემის „ბექ“- და „ფრონტ“ ოფისები და სისტემის ყველა მოდულთან წვდომა შესაძლებელი გახდა გარე ქსელიდან ერთ მისამართზე ავტორიზაციის შედეგად. გაუქმდა დაფინანსების წყაროები „გრანტი ნაშთი“, „კრედიტი ნაშთი“ და „სხვა ნაშთი“, ხოლო ნაშთის გამოყენების შესაბამისი ინფორმაცია მუხლობრივი ჩაშლის ნაცვლად შეიყვანება უშუალოდ კონვერტაციების ფორმაზე თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის ერთ რიცხვად. სისტემას შეემატა თვითმმართველი ერთეულებისთვის კვარტალური ბიუჯეტის მართვის ფუნქციონალი.

წლის ბოლო კვარტალში დასრულდა ბიუჯეტის დაზუსტების ნაწილზე მუშაობა, რის ფარგლებშიც სისტემას შეემატა ნორმატიული აქტების აღრიცხვის, ბიუჯეტებს შორის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერების გადარიცხვისა და კონსოლიდირების განახლებული ფუნქციონალი. სისტემაში სსიპების საკუთარი სახსრების დაზუსტების პროცესი შემუშავდა იმგვარად, რომ სსიპის წარმომადგენლებს მაკონტროლებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ რიგი ცვლილებების როგორც შექმნა, ასევე დამტკიცებაც.

ბიუჯეტების დაზუსტებების ნაწილში გაფართოვდა ხაზინის სისტემასთან საინტეგრაციო კავშირები, კერძოდ ნორმატიული აქტების ხარჯვის პროცესში ხაზინაში იგზავნება აქტით გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია ღონისძიებების მიხედვით და ხაზინის სისტემაც თავის მხრივ შესრულების მონაცემებს აწვდის საბიუჯეტო სისტემას ღონისძიებების ჭრილში.

დაზუსტებების დაბალანსებული ფორმით განსახორციელებლად სისტემაში გაფართოვდა კალათებისა და ჯაჭვების არსებული ფუნქციონალი, რომელიც შესაძლებელს ხდის გადასახდელების, შემოსულობებისა და





ნაშთების სინქრონულ და დაბალანსებულ ცვლილებას. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციონალი გადასახდელების მოდულის გარდა შეემატა შემოსულობებისა და ნაშთების მოდულსაც.

შეიცვალა ანასახის (დაზუსტებული ბიუჯეტის ანალიზის ფორმის) ფორმაც მასში სხვა ბიუჯეტების ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ცალ-ცალკე ასახვის გზით.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სსიპ-ების, თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსური ოპერაციების განხორციელება ხაზინის სისტემის საშუალებით

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და სსიპ/აიპ-ების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადმოსვლისთვის საჭირო რიგი ცვლილებების შემუშავება და ახალი მოდულების დამატება. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში: გაუმჯობესდა რაიონების, ტრანზიტების და შემოსულობის კოდების მართვის მოდული, რომლის ფარგლებშიც ხაზინის მომხმარებელს აქვს საშუალება ტექნიკური ჩარევების გარეშე, დამოუკიდებლად დაამატოს ხაზინის სისტემაში ახალი მონაწილე ორგანიზაცია და შექმნას მისი შესაბამისი შემოსულობების კოდები; გაუმჯობესდა ნორმატივების მართვის მოდული, რომლის ფარგლებში დაემატა ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას მართოს და მარტივად შეიტანოს საჭირო ცვლილებები ხაზინის სისტემაში არსებულ ნორმატივებში.

მოხდა სისტემის „ბექ“- და „ფრონტ“ მოდულების ინტერფეისის ნავიგაციის ცვლილება, სადაც დაემატა სხვადასხვა ბიუჯეტის არჩევის ფუნქციონალი.

სისტემის „ფრონტ“ ნაწილს დაემატა: ბანკში დეპოზიტის განთავსების ოპერაცია, რომელიც ტერიტორიულ ერთეულებს და სსიპ/აიპ-ებს აძლევს საშუალებას მათი კუთვნილი თანხები განათავსონ ბანკში დეპოზიტზე; თანხის სსიპ-ზე გადატანის ოპერაცია, რომლის ფარგლებში სსიპ/აიპ-ებს აქვთ საშუალება მოახდინონ თანხის გადატანა სხვა ხაზინის მომსახურების ქვეშ არსებულ სსიპ-ებზე; ჩარიცხვების მოდული, რომელშიც სსიპ/აიპ-ებს და ტერიტორიული ერთეულის ფინანსურ განყოფილებებს აქვთ საშუალება ნახონ, მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები; დეპოზიტების ოპერაციები, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს მართოს მათ დეპოზიტებზე ჩარიცხული თანხები; ბანკში დეპოზიტის განთავსების ოპერაცია, რომელიც ტერიტორიულ ერთეულებს და სსიპ / აიპ-ებს აძლევს საშუალებას მათი კუთვნილი თანხები განათავსონ ბანკში დეპოზიტზე; თანხის სსიპ-ზე გადატანის ოპერაცია, რომლის ფარგლებში სსიპ / აიპ-ებს აქვთ საშუალება მოახდინონ თანხის გადატანა სხვა ხაზინის მომსახურების ქვეშ არსებულ სსიპ-ებზე; ჩარიცხვების მოდული, რომელშიც სსიპ/აიპ-ებს და ტერიტორიული ერთეულის ფინანსურ განყოფილებებს აქვთ საშუალება ნახონ, მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები; დეპოზიტების ოპერაციები, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს მართოს მათ დეპოზიტებზე ჩარიცხული თანხები.

შემოსავლების სამსახურისთვის შემუშავდა ახალი ელექტრონული სერვისი, რომელიც აბრუნებს ინფორმაციას შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე ბანკიდან და ხაზინის სისტემიდან ჩარიცხული დავალებების შესახებ.



სისტემას დაემატა აღრიცხვის ახალი ელემენტი ღონისძიება, რომლის იმპორტი ხაზინის სისტემაში ხდება საბიუჯეტო სისტემიდან. მის ფარგლებში ხდება აღებული ვალდებულებების და მოთხოვნების თანხების კონტროლი.

სისტემას დაემატა შუალედური შრის ქვე-სისტემა, რომელშიც იმუშავებს ტერიტორიული ერთეულების ფინანსურ განყოფილებები. სისტემის მეშეობით ფინანსური განყოფილებები მოახდენენ მათი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის ადმინისტრირებას.

სისტემას დაემატა ანგარიშების მოდული. მოდულის ფარგლებში, სისტემა ავტომატურად ახდენს კონკრეტული ჩარიცხვის და ხარჯის შესაბამის ანგარიშს და აკონტროლებს ხარჯის გაწევის მომენტში შესაბამის ანგარიშზე სავაჭრო რესურსის არსებობას

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საშინაო და საგარეო ვალის აღრიცხვის განხორციელება ერთიან სისტემაში; ფასიანი ქაღალდების აუქციონის რეგისტრაციის განხორციელება ავტომატურად ელექტრონული სერვისის საშუალებით; კაპიტალიზაციის ოპერაციის და საგარეო ვალის აღიარების პროცედურის განხორციელება ერთიანი სისტემის საშუალებით

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სისტემის საშინაო ვალის მოდულს დაემატა *სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების* აუქციონთან დაკავშირებული ახალი ქვემოდული ყველა მნიშვნელოვანი შეთანხმების ასახვისა და ასლის ატვირთვისთვის და ახალი რეპორტი პერიოდების მიხედვით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წმინდა ზრდის დასათვლელად.

სისტემის საშინაო ვალისა და მიზნობრივი გრანტის მოდულებში განხორციელდა ანგარიშგებების ფილტრების ოპტიმიზაცია.

სისტემას დაემატა *საქართველოს ეროვნული ბანკი* სტატუსების ავტომატური განახლების ფუნქციონალი.

პროექტის გადახდების და ჩამორიცხვების ნაწილს დაემატა დოლარის ვალუტაში ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად თანხის ავტომატური გადაანგარიშების ფუნქციონალი გადახდის/ჩამორიცხვის თარიღის მიხედვით.

განხორციელდა სისტემის სატესტო გარემოდან *მუნიციპალური განვითარების ფონდის* სესხების მიგრაცია სისტემის რეალურ გარემოში.

მიმდინარეობს მუშაობა ემისიის კალენდრის შედგენის ფუნქციონალზე, რომელიც ითვალისწინებს სისტემაში მრავალწლიანი ემისიის კალენდრის შედგენას ფინანსური ანალიზის გასამარტივებლად.

განხორციელდა გადახდის შეტყობინების ელექტრონული სერვისის ოპტიმიზაცია.

სისტემას დაემატა სავალუტო კურსებთან მუშაობის ახალი ფუნქციონალი, რომლის ფარგლებში:



- შემუშავდა სავალუტო კურსების ახალი მოდული
- განხორციელდა ეროვნული ბანკის მიერ 1996 წლიდან მოყოლებული ყველა დადგენილი სავალუტო კურსის სისტემაში იმპორტი
- განხორციელდა ეროვნული ბანკიდან კურსების წამოღების ელექტრონული სერვისის ოპტიმიზაცია.

შემუშავდა BDT (Build Deploy Test) ფუნქციონალი, რომლის ფარგლებში შეიქმნა სისტემის ავტომატური ტესტირების სცენარები. მისი მეშვეობით სისტემის ყოველი განახლებისას ხდება სისტემიდან შესრულებული ოპერაციების და რეპორტის მონაცემების კორექტულობის შემოწმება.

სისტემას დაემატა გეგმიური კალენდარის შედგენის ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებლის მიერ მითითებულ მომდევნო წლების განმავლობაში მისაღებ წმინდა ზრდის მაჩვენებელზე აგენერირებს მომდევნო წლებში გამოსაშვები ემისიების და განსახორციელებელი დაფარვების დეტალურ კალენდარს.

მოხდა აუქციონების რედაქტირების პროცესის ოპტიმიზაცია, რომლის მეშვეობით ხდება გადახდების გრაფიკის ავტომატური გადათვლა.

ეროვნული ბანკის სესხზე დაემატა დოკუმენტების რეგისტრი, რომელიც იძლევა საშალებას ერთ წერტილში მოხდეს შენახვა სესხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი შეთანხმების და დოკუმენტის.

მოხდა საშინაო ვალის მოდულში არსებული რეპორტების ოპტიმიზაცია.

ბიუჯეტიდან გაცემულ სესხებში მოხდა რესტრუქტურისაციის მოდულის მოდიფიკაცია, რომლის ფარგლებში დაემატა ჯარიმების რესტრუქტურისაციის ფუნქცია.

განხორციელდა დეტალურ ინფორმაციაში არამიზნობრივად გახარჯული თანხის დამატების ასახვა გადახდების გრაფიკში შესაბამის თარიღითა და სტატუსით.

საბიუჯეტო ინფორმაციის მოდულში განხორციელდა პროექტის ინფორმაციის ფორმისა და ბიუჯეტში გასაგზავნი ფაილის მოდიფიცირება.

სისტემაში დაემატა რეპორტების ავტომატური ტესტები, რომლის მეშვეობით ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია ანგარიშგებებში ამოსული მონაცემების კორექტულობის შემოწმება.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### 1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სისტემაში ხელფასების მოდულის რეალიზება და ხაზინის ერთიან სისტემასთან ინტეგრირება; მივლინების ფუნქციონალის ინტეგრირება ხაზინის ერთიან სისტემასთან; სისტემის რეფაქტორინგის განხორციელება



**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა სისტემის სრულყოფა/დახვეწა სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, განახლდა არსებული ფუნქციონალი, დაემატა დაზღვევის კომპონენტი, შეიცვალა ინტერფეისი და კლასიფიკატორების მართვის სქემა, განახლდა თანამშრომლის პირადი ბარათი და დაიხვეწა მასში არსებული ჩანართები. ახალი რეესტრების დამატების შედეგად, მომხმარებელს მიეცა თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების, მართვის მოწმობისა და სადაზღვევო პოლისის შესახებ ინფორმაციის წარმოების შესაძლებლობა. განახლდა და დაიხვეწა კომპიუტერული უნარების აღრიცხვის ფორმა.

მოხდა სტატისტიკური ანგარიშგებების ფუნქციონალის განახლება და სრულყოფა. განახლების შედეგად, სისტემას დაემატა ახალი ანგარიშგებები: ანგარიშგება პირადი ბარათის შევსების შესახებ, ანგარიშგება თანამშრომლის დასწრების შესახებ (დასწრების ტაბელის მიხედვით), თანამშრომელთა სადაზღვევო ინფორმაცია, დასწრების საშუალო მაჩვენებლების ანგარიშგება, ტურნიკეტის მონაცემების მიხედვით თანამშრომელთა დასწრების დეტალური ანგარიშგება.

ამჟამად, სისტემაში გენერირდება 40-ზე მეტი სხვადასხვა ანგარიში. დამატებით, თითოეულ ანგარიშგებაზე ხდება „რეპორტის გაშვების“ თარიღისა და დროის დატანა.

სისტემაში განახლდა სტაჟის მართვის ფუნქციონალი, განხორციელდა სამუშაო სტაჟის ჩანაწერების დალაგება თარიღების მიხედვით. ასევე, დაიხვეწა დასწრების მართვის ფუნქციონალი, კერძოდ, არსებული დასწრების ტიპებისთვის ხდება კანონით განსაზღვრული, წლის განმავლობაში გამოსაყენებლად დასაშვები დღეების ოდენობის განსაზღვრა, რის მიხედვითაც თითოეული თანამშრომლის პირად ბარათზე შესაძლებელია გამოყენებული დასწრების მიხედვით გამოუყენებელი დღეების რაოდენობების დათვლა.

მივლინების მოდულში განხორციელდა ცვლილებები ფუნქციონალის დახვეწისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

განხორციელდა ოპტიმიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს სისტემის მუშაობის აჩქარებას. ოპტიმიზაციამ მოიცვა ისეთი პროცესები, როგორცაა: ავტორიზაცია, ჩანართებზე გადასვლები, შეტყობინებების დათვალიერება, ფორმების გამოძახება/შენახვა, ანგარიშგებების გენერირება და სხვა. აღნიშნული ცვლილებები მომხმარებელს გაუმარტივებს სისტემაში მუშაობის, ანგარიშგებების დათვალიერებისა და მათი გენერირების პროცესს.

სისტემაში განსაზღვრულია მომხმარებლის დაშვების განსხვავებული დონეები. შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტულ მომხმარებელს ენიჭება სისტემაში დაშვების შესაბამისი დონე.

ასევე, განისაზღვრა ხედვითი უფლებები სტრუქტურის ჩანართზე. კერძოდ, ქვედანაყოფებსა და თანამდებობების რეესტრში, მივლინებისა და ადმინისტრატორის ჩანართებზე, ოფისების, სადაზღვევო პაკეტების და სადაზღვევო კომპანიების რეესტრებში.

განხორციელდა ცვლილებები დიზაინსა და არსებულ ფუნქციონალში, რომელიც შეეხო თანამშრომლის პირად ბარათს, პირადი ბარათის ექსპორტირებას, შეტყობინებების ფუნქციონალს. შესაძლებელი გახდა თანამშრომლის პირადი ბარათის დამალვა (გვერდზე შეკეცვა). ასევე, დიზაინის მხრივ გაიმართა სტრუქტურის ჩანართზე არსებული სტატისტიკის ფუნქციონალი და დაიხვეწა სისტემაში ავტორიზაციის გვერდი. დამატებით, სისტემაში არსებული სავალდებულო შესავსები ველები წარმოდგენილია ვიზუალურად განსხვავებული სახით, მონიშნულია „\*“- სიმბოლოთი, რაც მომხმარებელს მუშაობის პროცესს უმარტივებს.



სისტემას, ავტორიზაციის გვერდზე, დაემატა მომხმარებლის სახელმძღვანელო და განახლდა საკონტაქტო ინფორმაცია.

კვლავ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სისტემის განვითარებისა და სახელმწიფო სექტორის უწყებებში დანერგვის კუთხით, რაც აისახება სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის აქტიური ზრდით.

სისტემის დანერგვამდე ყველა უწყებასთან ფორმდება შესაბამისი კონტრაქტი, ტარდება ტრენინგები, რის შემდეგაც იწყება დანერგვის პროცესი.

ამჟამად, სისტემა დანერგილია 30-ზე მეტ სახელმწიფო სტრუქტურაში: საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მის ყველა უწყებაში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, სსიპ ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, სახალხო დამცველის აპარატში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში, სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდში. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საავტომობილო გზების დეპარტამენტში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ვ.კომაროვის თბილისის ფიზიკმათემატიკის NI99 საჯარო სკოლაში, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროში, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

სისტემის პრეზენტაციები ჩატარდა შემდეგ სახელმწიფო ორგანიზაციებში: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სამცხე-ჯავახეთი - სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გარემოს დაცვის სამინისტროში, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნიაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ქ. თბილისის მერიის სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდში.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა**



**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ერთიანი მონიტორინგის სისტემის (MS System Center Operations Manager) შემუშავება და დანერგვა; მონაცემთა შენახვის ძირითადი და სარეზერვო ცენტრის ფუნქციონირება active-active რეჟიმში; ქსელური სისტემის გამტარობის, მონაცემთა შენახვის სისტემის წარმადობის და მოცულობის გაზრდა

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა EMC VPLEX ტექნოლოგიაზე დაფუძნებული არქიტექტურა ძირითად და სარეზერვო მონაცემთა ცენტრებს შორის, რის ბაზაზეც ორივე მონაცემთა ცენტრი ოპერირებს active-active რეჟიმში. გაძლიერდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობები 10 გიგაბიტამდე ტრაფიკის გასატარებლად. დაინერგა ახალი თაობის VNX მონაცემთა შენახვის სისტემა. მიმდინარეობს System Center-ის კომპონენტების დანერგვა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## VIII - რესურსების მართვა

### 1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების დოკუმენტების შემუშავება

**1.1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - საქართველო 2020-ის შემუშავების კოორდინაცია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ანალიტიკური დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი - მაისი

**პროგრესი:** დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილებით

**შენიშვნა:** შესრულებულია

**1.2 საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ანალიტიკური დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი - მაისი

**პროგრესი:** დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 7 მაისის N142 ბრძანებით

**შენიშვნა:** შესრულებულია



**1.3 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაცია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ანალიტიკური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტი

**პერიოდი:** იანვარი - მარტი

**პროგრესი:** სამოქმედო გეგმის მიხედვით N 1 ამოცანა რისკების ანალიზი - დაგზავნილ იქნა ფინანსთა მინისტრის, როგორც უწყებათაშორისი საბჭოს თავმჯდომარის მიერ წერილები მოთხოვნით უზრუნველყოთ რისკების შეფასება. მიღებულია საპასუხო მოსაზრებები ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი პირისგან. 26 ნოემბერს შედგა უწყებათაშორისი საბჭოს N4 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა როგორც რისკების ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა, ასევე ევროპის საბჭოს MONEYVAL -ის 2014 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს მიერ წარდგენილი პროგრესის ანგარიშის შედეგები.

უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხებიდან, ყველაზე პროგრესულად მიმდინარეობს მუშაობა ძვირფასი ქვებისა და ლითონების სახელმწიფო ზედამხედველობის დამკვიდრების მიმართულებით. შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც განსახილველად მიწოდებულ იქნა MONEYVAL -ის კომიტეტისათვის, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატისათვის. განსაზღვრულ იქნა ძვირფასი ქვებისა და ლითონების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყება სსიპ მომსახურების სააგენტოს სახით, რომლის მიერაც შემუშავებულ იქნა დეტალური სამოქმედო გეგმა შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხისა ცვლილებათა პროექტი მომზადებულ იქნა აზარტული თამაშების მიმართულებით და ასევე წარდგენილ იქნა MONEYVAL -ის კომიტეტისათვის განსახილველად.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობს ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებათა პროექტზე, რაც წარმოდგენილ იქნა ჯერჯერობით არაოფიციალურად ფინანსთა სამინისტროსათვის და პროექტი აშკარად ითვალისწინებს FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციებს, რაც ასევე ასახულია ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

2014 წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს სტუმრობდა ევროპის საბჭოს ორი წარმომადგენელი, მისიის მიზანი იყო საჭიროებათა იდენტიფიცირება და შეფასება. ექსპერტები შეხვდნენ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ ყველა კომპეტენტური უწყებისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, 2015 წლის იანვრის ბოლოს ველით ევროსაბჭოდან ოფიციალურ ანგარიშს

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.4 რეგულირების ზემოქმედების შეფასება - საპილოტე ვარიანტი საქართველოს კანონზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ანალიტიკური დეპარტამენტი



**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული დოკუმენტი

**პერიოდი:** აპრილი - ივნისი

**პროგრესი:** უცხოელი ექსპერტების დახმარებით, შემოსავლების სამსახურთან ერთად დასრულდა მუშაობა რეგულირების ზემოქმედების შეფასების საპილოტე ვარიანტზე

**შენიშვნა:** შესრულებულია

## 2. ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**2.1 სახელმწიფო სტრუქტურებში შიდა აუდიტის დეპარტამენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების ჩატარება GIZ-ის ეგიდით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის (118 მონაწილე)

**შენიშვნა:** შესრულებულია

**2.2 საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის მიზნით ტრენინგების განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლები; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური მიმართულების თანამშრომლებისთვის (1260 მონაწილე)

**შენიშვნა:** შესრულებულია

**2.3 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სისტემაში მოქცევის მიზნით სასწავლო კურსების ჩატარება**





**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლები; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის ოფისი სამხრეთ კავკასიაში თანადგომით განხორციელდა ტრენინგები ადგილობრივი თვითმართველობების ფინანსისტებისა და ბუღალტრებისთვის (199 მონაწილე).

ასევე, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით, განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სსიპ-ების წარმომადგენლებისთვის (94 მონაწილე)

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### 2.4 თანამშრომლობა ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მიერ განხორციელებული ტრენინგები და კონსულტაციები და ფინანსთა სამინისტროს სისტემის გადამზადებული თანამშრომლები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ტრენინგები საბიუჯეტო, აუდიტის და ჰარმონიზაციის დეპარტამენტებისთვის თემაზე „პროგრამული ბიუჯეტირება, ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი“ (25 მსმენელი). ასევე განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები საგამოძიებო სამსახურისთვის თემაზე „დამატებული ღირებულების გადასახადის სფეროში ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის კურსი“ (10 მსმენელი) „ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და მითვისებული აქტივების დაბრუნება“ (20 მსმენელი). მიმდინარე წლის ივლისში განხორციელდა 1 კვირიანი სასწავლო ვიზიტი ჰოლანდიაში ფინანსთა სამინისტროს 3 თანამშრომლისთვის. სასწავლო ვიზიტის თემებს წარმოადგენდა „სახელმწიფო ხარჯების მართვა“ და „საგადასახადო ადმინისტრირება“

**შენიშვნა:** შესრულებულია

### 3. ელექტრონული აუქციონის - eauction.ge - სისტემის განახლება და დეველოპმენტი

#### 3.1 ელექტრონული აუქციონის - eauction.ge - სისტემის განახლება და დეველოპმენტი

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** მარტივი და მოქნილი სისტემა.



**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მომხმარებლისთვის უფრო მიმზიდველი გახდა ვებ-გვერდის დიზაინი. ვებ-გვერდს დაემატა აუქციონის მომხმარებელთა აზრის კვლევის და სხვა დამატებითი სერვისების ცალკე გვერდები. ლოტების სიაში, ლოტებს შორის გამოიყო სარეკლამო ბანერის ადგილები, გაიზარდა ვებგვერდზე ინფორმაციის ძიების პარამეტრები, ასევე მომხმარებლისთვის კომფორტული სერვისის შეთავაზების მიზნით, ლოტის გვერდზე განთავსდა მსგავსი ლოტების ჩამონათვალი და QR კოდები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლისთვის კომპიუტერის ეკრანზე გახსნილი ლოტის შესახებ ინფორმაცია პირდაპირ მობილური ტელეფონის ეკრანზე გახდება ხელმისაწვდომი.

ეფექტური მომსახურების მიზნით დაგვემატა ონლაინ კონსულტაცია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სატელეფონო ზარის ან მომსახურების სააგენტოში მოსვლის გარეშე მიიღოს პასუხი, მისთვის საინტერესო საკითხებზე.

ვებგვერდის ადმინისტრაციული ნაწილის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ახალი სტატისტიკური რეპორტების დაგენერირების საშუალება, შეიცვალა და დაიხვეწა დოლარის კურსის კონვერტაციის მექანიზმი, შეიქმნა ახალი გადახდის სქემები.

მომზადდა [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ის მობილური აპლიკაციის სატესტო ვერსია IOS-ის ოპერატიული სისტემის მობილური ტელეფონებისთვის, ასევე დაიხვეწა მოდული ინტერნეტაუქციონის მეშვეობით რეალიზაცია „Buy It Now“-ს შესაძლებლობით“

**შენიშვნა:** შესრულებულია

#### **4. ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის დანერგვა**

##### **4.1 ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის დანერგვა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** კანონმდებლობის შემუშავება, ბაზრის ანალიზი, სამსახურის ფორმირება

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ჩამოყალიბდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის დანერგვაზე.

სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა საქართველოს ძვირფასი მეტალებისა და ძვირფასი ქვების ბაზრის დეტალური კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკაციები, ტენდენციები, პრობლემატიკა და რისკები.



სამუშაო ჯგუფის მიერ, განხორციელდა არსებული კანონპროექტის სრულყოფა და 2 ნორმატიული აქტის შემუშავება.

დამყარდა ურთიერთობები სხვადასხვა ევროპული ქვეყნების სასინჯ სამსახურებთან, საჭირო ინფორმაციის მიღებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქმიანი ვიზიტით პორტუგალიაში, ლატვიასა და ლიტვაში.

მომზადდა პროექტის დეტალური სამოქმედო გეგმა.

სამუშაო ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს დონორ ორგანიზაციებთან, დაფინანსების მოპოვების მიზნით.

შესწავლილი იქნა სასინჯე სამსახურის ლაბორატორიის მუშაობის პროცესი: დადამღვა, აღჭურვილობა, საორგანიზაციო ტექნიკური საკითხები.

**შენიშვნა:** შესრულებულია